პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 28 თებერვალი № 50 (17395) ფასი 2 კაპ.

ორბიტაზეა „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“

პილოტირებული კომპლექსი

საკლესის ცნობა

1979 წლის 26 თებერვალს — მოსკოვის დროით 16 საათსა და 30 წუთზე განხორციელდა „სოიუზ-32“ კოსმოსური ხომალდისა და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის შეპირაპირება.

„სოიუზ-32“ ხომალდი შეუპირაპირდა სადგურის გარდამავალ ნაკვეთურზე მდებარე საპირაპირებელ კვანძს. ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტებმა ვლადიმერ ლიახოვმა და ვალერი რიუმინმა გააღეს შიდა ლუკი და „სალუტ-6“ სადგურში გადავიდნენ.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კვლავ მოქმედებს პილოტირებული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსი „სალუტ-6“-„სოიუზი“.

1977 წლის 29 სექტემბერს ორბიტაზე გაყვანილი „სალუტ-6“ სადგურის ფრენის დროს მის ბორტზე კოსმონავტთა ექვსმა ეკიპაჟმა იმუშავა. სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენის დროს წარმატებით განხორციელდა კოსმოსის ათვისების ისტორიაში ორი ყველაზე ხანგრძლივი ექსპედიცია — 96 და 140-დღიანი კოსმოსური ფრენა.

ორბიტული კომპლექსის ბორტზე ერთობლივი კვლევის პროგრამები შეასრულა სამმა საერთაშორისო ეკიპაჟმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტები. პილოტირებული კომპლექსის ხანგრძლივ აქტიურ ფუნქციონირებას საიმედოდ უზრუნველყოფდა ოთხი ავტომატური სატვირთო ხომალდი „პროგრესი“, რომლებსაც კომპლექსში მიჰქონდათ საბობი, მოწყობილობა, აპარატურა და სახარჯო მასალა. დაგეგმილი სამუშაოები მთლიანად შესრულდა.

გასული წლის 2 ნოემბრიდან „სალუტ-6“ სადგური ავტომატური რეჟიმით ფრენდა. ამ პერიოდში ფრენის მართვის ცენტრი უზრუნველყოფდა სადგურის ფრენას და კონტროლს უწევდა მისი საბორტო სისტემების მდგომარეობას. დედამიწიდან მიღებული სიგნალებით ფრენის პროგრამის შესაბამისად სრულდებოდა ტექნიკური ექსპერიმენტები.

„სალუტ-6-„სოიუზ-32“ კომპლექსის ეკიპაჟმა უნდა მოაწყოს დამატებითი გამოკვლევა, თუ როგორ მუშაობს სადგურის საბორტო სისტემები, ხელსაწყოები და სამეცნიერო აპარატურა პილოტირებული რეჟიმით ფრენისას. ამ კვლევის შედეგების მიხედვით განისაზღვრება პროფილაქტიკური და საჭირო სარემონტო-აღდგენითი ღონისძიებების მოცულობა.

კოსმონავტები მოაწყობენ მეცნიერულ-ტექნიკურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ გამოკვლევებს და ექსპერიმენტებს.

ამხანაგები ლიახოვი და რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ეკიპაჟი შეუდგა სამუშაოთა შესრულებას „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტული კომპლექსის ბორტზე.

სოფლის ელექტრიფიკაცია

ბევრი ქვეყნის თბო, ატომური და ჰიდროსადგურები დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებენ დაახლოებით ოთხ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. მათი სიმძლავრეების სწრაფმა ზრდამ, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნამ დააჩქარა სოფლის ელექტრიფიკაციის განვითარება, ენერგიით უზრუნველყო ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამეურნეოთაშორისო საწარმო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ საოფლო გაყვანილი სამ მილიონ კილომეტრამდე ელექტროგადამცემი ხაზები, დაიდგა ათასობით სატრანსფორმატორო ქვესადგური. ელექტრომძრავების რიცხვი სოფლად ექვსჯერ გაიზარდა, ელექტროდანადგარებისა — რვაჯერ. ეს შესანიშნავი წარმატებანი დიდი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების შედეგია. 1966-1978 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ელექტროტექნიკური პროდუქციის მიწოდებამ ათ მილიარდ მანეთს გადააჭარბა, რამაც სოფლის მეურნეობის მუშის ენერგოშეიარაღებულობა ექვსჯერ და მეტად გაზარდა.

სკკპ XXV ყრილობამ დასახა 1980 წელს სოფლად ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდოს 180 მილიარდ კილოვატსაათამდე. იგი დღენიადაგ იზრდება და უკვე მიუახლოვდა 100-მილიარდიან ზღვარს. ქვეყანაში მოქმედებს რვა ათასზე მეტი მეფრინველეობის ფაბრიკა, მეცხოველეობის კომპლექსი, სამეურნეოთაშორისო გაერთიანება, საწარმეო ერთეული, სამეურნეობა და სხვა საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად სამ-სამ მილიონ კილოვატსაათ და მეტ ელექტროენერგიას იყენებენ. მარტო ომსკის ოლქის ერთი საბჭოთა მეურნეობა „ლუზინსკი“ 30 მილიონ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას ხარჯავს. შეიძლება გავიხსენოთ, რომ ამდენსავე ელექტროენერგიას იყენებდა მთელი ჩვენი სოფლის მეურნეობა პირველი ხუთწლედის დამდეგს.

ელექტრობის მძლავრი ძალა შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესების საიმედო საფუძველია. ყირიმის ოლქის, ყრასნოგვარდეისკის რაიონის კოლმეურნეობა „ხალხთა მეგობრობაში“, მაგალითად, ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენებამ მიწების რწყვასთან ან ქიმიზაციასთან ერთად შესაძლებელი გახადა მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე გაეზარდათ 44,2 პროცენტამდე, ბოსტნეულისა კი 405 ცენტნერამდე, მკვეთრად აემაღლებინათ მეცხოველეობის პროდუქციოულობა.

მაგრამ ელექტრიფიკაცია ყველგან წარმატებით როდი ვითარდება. ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკავშირო სამინისტროთა საწარმოებმა შარშან ვერ შეასრულეს გადამცემი ხაზების მშენებლობის გეგმები საქართველოს, ოსეთის, ბაშკირეთის, ტალინის, ალტაისა და ზღვისპირეთის მხარეებში შეფერხდა სატრანსფორმატორო ქვესადგურების ამოქმედება. იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ მდგომარეობა და ავანაზღაუროთ გაცდენილი, უნდა სრულყოთ მშენებლობების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ავამაღლოთ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საექსპლოატაციოდ ობიექტების დროული გადაცემისათვის.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში მიიღეს დადგენილება „სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც დასახულია დიდმნიშვნელოვანი პერსპექტიული ამოცანები. 1985 წელს ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობა სოფლად 170-190 მილიარდ კილოვატსაათამდე უნდა გაიზარდოს. უნდა გავაფართოოთ მისი დანერგვა მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაში, განვახორციელოთ თანდათანობითი გადასვლა საამქროებისა და საწარმოების სრულ ავტომატიზაციაზე. უახლოეს წლებში უნდა აშენდეს დაახლოებით მილიონი კილომეტრი გადამცემი ხაზები, აიგოს და განახლდეს ელექტროტექნიკური მრეწველობის 32 ქარხანა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ამაღლებს ელექტრიფიკატორთა, სოფლის ყველა მშრომელის პასუხისმგებლობას ენერგიის ეფექტიანი გამოყენებისათვის. მთავარია მივაღწიოთ ელექტროენერგიით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების საიმედო მომარაგებას. ავარიებისა და ელექტრობის ზეგეგმითი გამორთვის გამო მიწოდებაში შეფერხებები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ხომ არღვევს ტექნოლოგიას, მწყობრიდან გამოჰყავს მოწყობილობა, იწვევს პროდუქციის დანაკარგებს. ენერგეტიკოსთა ვალია რაც შეიძლება მალე უზრუნველყონ სარეზერვო ელექტროკვებით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, თავიანთ ბალანსში შეიტანონ ყველა ზაზი, რომლებიც ერთიან ენერგოსისტემასთან არის შეერთებული, გააძლიერონ საექსპლოატაციო ქვეგანაყოფების ტექნიკური აღჭურვა და გააუმჯობესონ მათი მუშაობა.

ელექტრობის რაციონალური გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სახსოფლტექნიკის საწარმოების საინჟინრო სამსახურებზე. ამავე დროს ომსკის, ჩიტისა და მთელი რიგი სხვა ოლქების ზოგიერთ რაიონში ისინი დაკომპლექტებული არ არის კვალიფიციური კადრებით. აკლიათ მონტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ამის შედეგად მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცუდად მუშაობს, ზშირად გამოდის მწყობრიდან. ენერგიის გამოყენების სუსტ კონტროლს მოჰყვა ენერგიის ზედმეტი ხარჯვა გორკის, კიროვის, სვერდლოვსკის ოლქების სოფლის მეურნეობებში. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სოფლის ელექტრიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების, განაფართოების ფრდ, მათი მუშაობის დონის ასამაღლებლად, კადრების დენადობის შესამცირებლად.

ბელორუსიაში, ბაშკირეთში, კრასნოდარის მხარეში, ვოლგოგრადის, კუიბიშევისა და მთელ რიგ სხვა ოლქებში შეიქმნა „სოფლენერგოს“ სამეურნეოთაშორისო საწარმოო-საექსპლოატაციო გაერთიანებები. შარშან ასეთმა საწარმოებმა მარტო რუსეთის ფედერაციაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეფეხეს 145 მილიონი მანეთის მომსახურება. შესამჩნევად შემცირდა აქ ძრავების და დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა, მოწყობილობის მოცდენა, მაგრამ ამ გაერთიანებებს საგრძნობი სიძნელეები ექნებათ სუსტი მატერიალური ბაზის გამო. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია გამოუყონ მათ ტექნიკა და მასალები, საზომი ხელსაწყოები, ინსტრუმენტი. მეტად საჭიროა, რომ ეს მითითებანი განუხრელად სრულდებოდეს.

ფართო ელექტრიფიკაცია სოფლად, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უტყუარი გზაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მის განვითარებას. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება იმას, რომ მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარონ ახალი ხაზებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების ამოქმედების გეგმების შესრულება, სოფლის ენერგოშეიარაღების სრულყოფა, მიაღწიონ ელექტრიფიკატორთა სოციალისტური შეჯიბრების მაღალ ქმედითობას.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სამრეწველო საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის გეგმების წარმატებით შესრულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ენერგეტიკოსები. მათი ვალია დაეხმარონ მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს იმ საქმეში, რომ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, არსებითად გაადიდონ პროდუქციის გამოსავლიანობა და მიაწოდონ იგი მომხმარებელს უმცირესი დანაკარგებით.

ᲣᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ. (საკლესი). გამომცემლობა „უყაზახეთმა“ უყაზახურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ოცდაერვე ტომი.

გამომცემელია უყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

პირველმკვალავნი ხუდონზე

რესპუბლიკაში ყველაზე გამწვანებული იქნება ხუდონჰესის მუშათა დაბა, რომლის მშენებლობა დაიწყო ენგურის ზემო დინებაში, მთებში შეუუჭეული სვანური სოფლის იდლიანის მახლობლად. მშენებლები, ტყის ჭრა რომ თავიდან აიცილონ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გოლიათი ხეები კვლავ შრიალებდნენ მომავალი 12 და 14-სართულიანი სახლების მახლობლად.

სამაგიეროდ ნაჯახებისა და აფეთქების ხმა არღვევს ტყის საუკუნოვან სიწყნარეს იმ ადგილას, სადაც შენდება კიდევ ერთი ენგურის კასკადის მძლავრი ელექტროსადგური.

...სულ ახლახან მოვიდა ამ უდაბურ ადგილას ჰიდრომშენებელთა პირველი მექანიზებული რაზმი, მაგრამ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. თვალწარმტაც ხეობაში მიმდინარეობს ჰიდროტექნიკური კომპლექსის ქვაბულის მომზადება. სრული დატვირთვით მუშაობს საკომპლექსორო, სამეჯლო, სარემონტო-მექანიკური სახელოსნოები, იზრდება მექანიზმების პარკი. მძლავრი ბულდოზერები, ექსკავატორები, გრეიდერები, მრავალტონიანი თვითსაცლელები ემზადებიან ფრიალო კლდეების დასალაშქრად.

ენგურჰესის ორი დამკვრელური რაზმი — „სამოქალაქომშენი“ და „გვირაბმშენი“ აშენებენ საცხოვრებელ დაბას, გზებსა და ხიდებს. ზამთარს, სუსხიან ჭარბასა და ნამქერებს ჰიდრომშენებლებმა დაუპირისპირეს შეუპოვრობა და რთულ მთის პირობებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

ამ უდაბურ ადგილას პირველი ექსკავატორი მოიყვანა და პირველი კლდოვანი გრუნტი ამოიღო ოთარ გუგავამ. ახლა მისი მექანიზებული რაზმი ამთავრებს 14 კილომეტრი სიგრძისა და 9 მეტრი სიგანის ძირითადი გზის გაყვანას.

ნაკლები სიძნელეები როდი აქვთ ხიდის მშენებლებს, მაგრამ 47 მეტრი სიგრძის ერთმალიანი ლითონის ხიდი საცაა ერთმანეთს დაუკავშირებს მთის მდინარის ციცაბო ნაპირებს, უკვე მთავრდება ათმეტრიანი ბურჯების დაბეტონება. უკვე ჩამოიტანეს „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის თბილისის დამხმარე საწარმოთა კომბინატიდან ლითონის კონსტრუქციები.

თ. ჯიბუტი.

ᲔᲜᲒᲖᲣᲠᲯᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲘᲗᲔᲑᲐᲡ — ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

თბილისი. „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მექანიზატორებმა თითქმის ყველა ტრაქტორი გაამზადეს საგაზაფხულო თესვისათვის. აქ მანქანების შეკეთება გასულ წელზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. წარმატების საწინდარია ის, რომ შეიქმნა ერთიანი სამსახური, რომელმაც იკისრა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების, სათესი და ნიადაგდასამუშავებელი აგრეგატების შეკეთებისა და მომსახურებისათვის ზრუნვა.

ტექნიკის ასეთმა კონცენტრაციამ შეამცირა შეკეთების ვადები, მანქანების მოცდენა, მეურნეობას გამოუთავისუფლა მუშახელი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებაზე დასაქციალდნენ აგრეთვე გორის, კასპის, გარდაბნისა და რესპუბლიკის სხვა რაიონები. ამან შექმნა გაზაფხულისათვის ტექნიკის სწრაფი შეკეთების პირობები. მაგალითად, 15 თებერვლის მდგომარეობით რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გამზადებულია დაახლოებით

	მანქანების რიცხვი	გამართული მანქანების პროცენტი
ტრაქტორი	20.900	92
სამარცვლე კომბაინი	1.418	69
ტრაქტორის გუთანი	7.828	92
ტრაქტორის სათესელა	3.971	87
კარტოფილსარგავი	797	91
კულტივატორი	4.490	90

(საქინფორმი).

20.000 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, არსებული 20.900 ტრაქტორიდან. კარგ მაჩვენებლებს აღწევენ „საქსახსოფლტექნიკის“ გორის, გარდაბნის, კასპის, თელავის, ცაგერის, ვეგეტაორისა და სხვა რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების კოლექტივები.

მექანიზატორთა ვალია მასობრივი თესვის დაწყებამდე შეაკეთონ მთელი სათესი ტექნიკა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 15 თებერვლისათვის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზად არის:

ᲚᲘ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲠᲘᲒᲘ

27 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რ. კასტრო, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად.

საუბრის მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. შეეხნენ აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

საუბარმა გულითადობის, მეგობრობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დ. თ. უსტინოვმა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ი. ბლატოვმა. (საკლესი).



სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

საკლეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გამოვიდა კრებული ივ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ“. მასში შევიდა მასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ ვ. ი. ლენინის ნაშრომების, სკკპ დოკუმენტების წარუვალ მნიშვნელობას, ლენინის მონაწილეობას რუსეთის სფსრ 1918 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში და სხვა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 27 თებერვალს კრემლში ლენინის ორდენი გადასცა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრს არმიის გენერალ რაულ კასტრო რუსს. მას უმაღლესი საბჭოთა ჯილდო მიეჩინა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ვ. ოგარკოვი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების თავარსარდალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ფ. გ. კულიკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ს. კ. კურკოტკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი და ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. მ. ბოგოლიუბოვი;

კუბის მხრივ — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარე ვილმა ესპინ დე კასტრო, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სავერო აგრე დელ კრისტო, დივიზიის გენერალი აბელარდო კოლომე იბარ, ბრიგადის გენერალი სიმსტო ბატისტა სანტანა, კუბის სამხედრო დელეგაციის სხვა წევრები, რომლებიც თან ახლავან რაულ კასტროს.

ჯილდოს გადაცემის დროს გამოვიდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ძვირფასო ამხანაგო რაულ კასტრო!

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ყველანი დიდი ხანია და კარგად ვიცნობთ რაულ კასტროს, კუბის რევოლუციის ლიდერის ფიდელ კასტროს ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს. ამხანაგმა რაულმა, როგორც ჩვენ უბრალოდ, მეგობრულად ვეძახით მას, ძალიან ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა კავშირ-კუბის ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი — მისი დამსახურების ღირსეული შეფასებაა.

როცა ამ ჯილდოს გადავცემ, საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მოძმე კუბასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობა იმ თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და სრული ნდობა. როგორც ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საკითხებში, ისე საერთაშორისო საქმეებში მუდამ ვპოულობთ საერთო ენას ჩვენს კუბელ მეგობრებთან, ერთმანეთთან თანხმობით ვმოქმედებთ. და ეს კანონზომიერია. ჩვენი ერთიანობა გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომპარტიის ერთგულებას მარქსისა და ლენინის საქმისადმი, სოციალისტური სოლიდარობის პრინციპებისადმი, საბჭოთა და კუბელი ხალხების ღრმა საერთო ინტერესებსა და მიზნებს.

ძვირფასო ამხანაგო რაულ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მუშაობაში თავისუფლების კუნძულის საკეთილდღეოდ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. რ. კასტრომ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Რ. ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, უდიდესი მადლობა მოგახსენოთ ამ კეთილშობილური ქმედებისა და დიდი პატივისათვის — ეს ოდენ სპასტიო ორდენით დაჯილდოებისათვის, რომელიც გენიალური ლენინის საყვარელ სახელს ატარებს, ლენინისა, რომლის იდეები და მოღვაწეობა ასწავლის, შთაგონებს და წარმართავს სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებს, მთელი დედამიწის მშრომელებსა და ჩაგრულ ხალხებს.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობაში შემავალი ყველა ამხანაგის, კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა კუბელი რევოლუციონერის სახელით, რომელთა წარმომადგენელიც მე ვარ და რომელთა სახელითაც ვიღებ ამ ჯილდოს, გულითად მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი ძმობის ამ დასტურისათვის.

კუბის რევოლუციის გამარჯვებიდან ოცი წლის შემდეგ, დასავლეთის ნახევარსფეროში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება გაუგებარი იქნებოდა, თუ გამოვრიცხავდით ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, სახელდობრ: იმ უდავო ფაქტს, რომ ჩვენი რევოლუცია მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, რევოლუციური ინტელიგენციისა და მთელი კუბელი ხალხის საერთო მოქმედების შედეგია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები შეადგენენ დღეს ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს — კუბის კომუნისტურ პარტიას.

ჩვენი რევოლუციის დამსახურებათა, რევოლუციურ-პატრიოტული ტრადიციების, მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტებებისა და მსოფლიო სოციალიზმის საქმის შერწყმის პროცესში გამოკვეთილი კუბელი ხალხის ღირსებათა და მისი ხასიათის ნიშან-თვისებათა ხორცშესხმა და განსახიერებაა ამ ერთიანობის შემოქმედი, ხალხის მორალური ძალების შთამაგონებელი, მისი ბელადი და ხელმძღვანელი, ჩვენი პარტიის პირველი მდივანი ამხანაგი ფიდელ კასტრო.

თქვენ, ამხანაგებო და მეგობრებო, შემიძლია გითხრათ, რომ ლენინის ორდენს ისეთივე გრძნობით ვიღებ, როგორიც სიერა-მაესტრაში განვიცადე, როცა აჯანყებულთა არმიის მთავარსარდლის ამხანაგ ფიდელ კასტროს გადაწყვეტილებით უმაღლესი მხედრული წოდება მომენიჭა და დამევალა გამეხსნა მეორე ფრონტი, მეკისრა მისი სარდლობა.

ისევე როგორც იმ მომენტში, ვფიქრობ, რომ ისტორიული, გარემოებანი და „ბზა, რომელიც ავირჩიე, როცა კომუნისტი გავხდი, ახალ შესაძლებლობას მაძლევს დავადასტურო, რომ კვლავ ვიხდებულად ვერთგულობ ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა საქმეს, თავისუფლების, სამართლიანობისა და სოციალური პროგრესის საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს.

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო! დღეს, როცა ლენინის ორდენს ვიღებ, სიამაყით ვაცხადებ, რომ ვატარებ მას, როგორც ურღვევი მეგობრობის, პრინციპების ერთიანობის, იმ მჭიდრო ძმური, რევოლუციური და ადამიანური ურთიერთობის სიმბოლოს, რომელიც ლენინის სამშობლოსა და სოციალისტურ კუბას ერთიანებს, როგორც პატარა ნაკლებ განვითარებული ქვეყნისა და მძლავრი სოციალისტური განვითარებული სახელმწიფოს სანიმუშო ურთიერთობის სიმბოლოს, რომლის დაბმარება და თანამშრომლობა რომ არა, ჩვენი ხალხის მგირობისა და ბრძოლისადმი მისწრაფების მიუხედავად, კუბის რევოლუცია ვერ გადაურჩებოდა ჩრდილოეთამერიკელ იმპერიალისტთა სასტიკ ძალას, და დღეს შეუძლებელი იქნებოდა წარმატებით გვეშენებინა სოციალიზმი შეერთებული შტატების დანამაულებრივი ბლოკადის პირობებში.

განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის ის ფაქტი, რომ ლენინის ორდენს გადმომაცემთ სწორედ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, ადამიანი, რომელიც სათავეში უდგა ხართ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მიუძღვის თავისი ხალხის პროგრესისა და აყვავების ახალი, კიდევ უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ და ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას ხალხების, კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და მომავლის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის ეს პოლიტიკა და მისი დღევანდელი რეალობანი ცილისმწამებელთა ლანძღვა-გინების მიუხედავად, დაუშრეტელი წყაროა ამ ორდენის ავტორიტეტისა, რომელსაც ვრაცხთ უმაღლეს პატივად, როგორიც კი ოდესმე დაგვდებია.

დიდ მადლობას მოგახსენებთ.

* * *

დამსწრე საბჭოთა და კუბელმა ამხანაგებმა გულითადად მიულოცეს რ. კასტროს საპატიო საბჭოთა ჯილდო და უსურვეს შემდგომი დიდი წარმატებანი სოციალისტური კუბის საკეთილდღეოდ, სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის დაუცხრომელ საქმიანობაში. (საკლესი).

სამშობლოს სასიკეთოდ

1979 4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

კომუნისტთა შეხვედრა ა. ა. გრომიკოსთან

26 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების მინსკის საქალაქო მეორე საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეა ანდრიას ძე გრომიკოს.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ო. ი. სემენკოვმა ილაპარაკა ა. ა. გრომიკოს ცხოვრების გზის შესახებ და ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტების და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა თქვეს, რომ მთელმა ხალხმა მოიწონა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა ა. ა. გრომიკომ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა მინსკის მშრომელთა კოლექტივებს, რომლებმაც იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, და აღუთქვა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა გაამართლოს გაწეული ნდობა.

ორატორმა დაწვრილებით დაახასიათა შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია წინა არჩევნების დროიდან პარტიის XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საბჭოთა ხალხის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის საჭიროა ხელშემწყობი საგარეო პირობები. ასეთი პირობების უზრუნველყოფის საქმეს ემსახურება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა.

როგორც დასავლეთში, ისე შორეულ აღმოსავლეთში, იმათ, ვისაც ეს ეხება, უნდა იცოდნენ, თქვა ა. ა. გრომიკომ, რომ საბჭოთა კავშირი და მისი მეგობრები და მოკავშირეები თავს არავის დაარაგვრინებენ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა არავის არ ემუქრება, მას მხოლოდ ქვეყნად მშვიდობა უნდა.

დღითი დღე ძლიერდება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გავლენა საგრთაშორისო საქმეებზე. და ჩვენ მარტონი კი არა, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოვდივართ.

სოციალიზმს ჩვენს დღეებში უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს. ხალხები სულ უფრო მეტად უკავშირებენ მომავლის იმედს სოციალისტურ წყობილებას. განვლილი წლების მანძილზე სოციალიზმმა ახალი დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. ერთიანი სოციალისტური ვიეტნამი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სოციალიზმის დიდმნიშვნელოვანი ფაპოსტი გახდა.

ამჟამად ვიეტნამის წინააღმდეგ ახალი აგრესია გაჩაღებული. ამ დანაშაულს სჩადიან ჰეგემონიზმისა და ექსპანსიის იდეებით შეპყრობილი ჩინეთის ხელმძღვანელები. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ პეკინის აგრესია ამთავითვე განწირულია.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით მოითხოვს, რომ პეკინის ხელმძღვანელობამ, სანამ გვიან არ არის, შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ გაიყვანოს მისი ტერიტორიიდან ჩინეთის ჯარები.

რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ჩვენ დაბეჯითებით ვიღაწვით, რომ მათთან ურთიერთობა თანადასაბამო ჩადგეს მშვიდობიანი თანაარსებობის კალაპოტში. ეს კი უნდა ნიშნავდეს თანამშრომლობის განვითარ ე ბ ა ს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე, ერთმანეთის უშიშროებისა ინტერესების გათვალისწინებასა და ერთმანეთისადმი ნდობის ზრდას.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას. და ეს ყველასათვის გასაგებია.

ერთი მხრივ, ამ ურთიერთობაში მთლიანად შენარჩუნებული გვაქვს ის არსებითი დადებითი მარაგწამეტი, რომელიც ორი ქვეყნის ერთობლივი გარჯით შეიქმნა წარსულში. ეს მოწმობს ჩვენი ურთიერთობის მომავალი კონსტრუქციოლი განვითარების შესაძლებლობებსაც და გონიერ ადამიანებს დასავლეთშიც ესმით ეს.

მეორე მხრივ, არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, და არა მარტო იქ, ფაქტიურად მოქმედებენ ძალები, რომლებსაც არ ეპიტნავებათ დაძაბულობის შენელება, ძალები, რომლებსაც სწადიათ ჩვენს ქვეყნებს „ცივი ომის“ ნაცა დაუბრუნონ. ჩინეთის ხელმძღვანელები არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ, ერთმანეთს წაჰკიდონ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

მათი ზეგავლენით, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული შინაური ძალების ზემოქმედებით ბრკოლდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარება. ამ სერიოზული საკითხისადმი დამოკიდებულ ე ბ ა ვაშინგტონში, შეიძლება ითქვას, ისე სწრაფად იცვლება ხოლმე, როგორც ამინდი ჩრდილოეთ ატლანტიკაში.

პოლიტიკური კლიმატი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში დადებითი თვალსაზრისით უფრო სტაბილური უნდა იყოს. ეს ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

ამ ორი საწყისის ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში ახლა, უწინარეს ყოვლისა, წარმოებს ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების დადების საკითხის ირგვლივ. მოლაპარაკებაში სადღეისოდ მიღწეული პროგრესი საფუძველს გვაძლევს ვვარაუდოთ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე შეიძლება ახლო მომავალში წარმატებით დავაგვირგვინოთ, თუ მეორე მხარე არ შექმნის დაბრკოლებებს სრული მორიგების მიღწევის გზაზე, თუ თანამიმდევრულად იქნება დაცული თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი.

გარდა ამისა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას არაერთგზის მიუპყრიათ ყურადღება იმისადმი, რომ არც შეთანხმების მიზნებს და არც საერთოდ მშვიდობის მიზნებს ოდნავადაც არ შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების ისეთი მოქმედება, როგორიც არის საბრძოლო ბიუჯეტის განუწყვეტელი ზრდა, შეიარაღების ახალი პროგრამების გაფართოება, „ჩინური კოზერის“, იმ კოზერის გათამაშება, რომელიც ესოდენ ესალუნება იმათ სულს ვაშინგტონში, ვინც თავს არ იტკივებს მომავალზე ფიქრით.

დასავლეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირს ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობანი ამოწურული როდია. თუ ეს შესაძლებლობანი უფრო სრულად იქნა გამოყენებული, ეს კი, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ჩვენ რაც კი რამ შეგვიძლია, ყველაფერს ვღონთბთ,—ამით მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმე მხოლოდ მოიგებს. და ეს სჭირდება ყველა ხალხს, ყველა ქვეყანას.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის მომე ქვეყნები სულაც არ ფიქრობენ მშვიდობისა და დაძაბულობის შეღელებისადმი მტრული ძალების გავლენის დაკნინებას და არად ჩაგდებას.

არავინ არ იჩენს ისეთ დიდ სიმტკიცეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში, როგორც საბჭოთა კავშირი. მაგრამ ჩვენ არამც და არამც არ შევასუსტებთ თავდაცვითს მეცადინეობას იმ დროს, როდესაც სულ უფრო იზრდება ნატოს ქვეყნების სამხედრო ძლიერება, არ შევასუსტებთ, რა დემაგოგიური მოსაზრებებითაც უნდა ნიღბავდნენ საამისო მოწოდებებს.

მსოფლიო საქმეებში სულ უფრო აგრესიულ როლს კისრულობენ პეკინელი ხელმძღვანელები. და ამას მარტო სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ წამოწყებული აგრესია როდი მოწმობს.

კვლავინდებურად შფოთიანობაა ახლო აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირი, როგორც ყოველთვის, მხარს უჭერს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას.

რაოდენ წინააღმდეგობრივიც უნდა იყოს საერთაშორისო ვითარება, ჩვენი პარტია, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მარქსისტულ-ლენინურ გაგებას ეყრდნობა, წარმატებით წყვეტს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ თქვა, საბჭოთა ადამიანების ისტორიული ბედი, ყველა მათი მიღწევა და გამარჯვება, რომლებიც დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი ექვსი ათწლეულის მანძილზეა მოპოვებული, განუყოფელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის დაუღალავ რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობასთან.

სწორედ ამიტომ არის, რომ ხალხი ასეთი მოწიწებითა და სიყვარულით ეკიდება პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროს. უსაზღვროა ხალხის პატივისცემა და სიყვარული ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამორჩეული ლიდერისადმი, იმ ადამიანისადმი, რომლის სახელიც ყველა საბჭოთა ადამიანის — კომუნისტისა თუ უპარტიოს, მილიონობით საზღვარგარეთელი მშრომელის აღფრთოვანებას იწვევს; — ლ. ი. ბრეჟნევისადმი. მტკიცე ლენინელი, მშვიდობის უდრეკი მებრძოლი, მაღალი პრინციპებისა და რკინისებრი ნებისყოფის ადამიანი — ასეთად იცნობს მას ხალხი.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი განუხრელად იზრდება. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი წარმატებები წლითიწლობით სულ უფრო მეტად გამრავლდება და აელვარდება მთელი თავისი სიდიადით, მთელი თავისი ბრწყინვალებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიჰყვება ხალხს ამ წარმატებების გზით. აი რატომ არის ესოდენ მაღალი და ურყევი პარტიის აკტორიტეტი. აი რატომ არის, რომ ჩვენი მშრომელები ასე ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

(საკდესი).

მასებთან მჭიდრო კავშირით

კომუნისტთა შეხვედრა კ. უ. ჩერნენკოსთან

26 თებერვალს მოლდავეთის დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების კიშინიოვის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს.

სტატუა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — კიშინიოვის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანმა ს. ა. ბეგანსკიმ. მან ილაპარაკა კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრების გზაზე და მოუწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს პარტიისა და ხალხის ურღვევ კავშირზე, ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვანი რესპუბლიკების შუდმივ მზარდ მეგობრობასა და ძმობაზე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა კ. უ. ჩერნენკომ, რომელსაც ამომრჩეველები გულთბილად შეხვდნენ. საბჭოების არჩევნები ჩვენში, თქვა მან, — ეს არის პარტიისა და ხალხის ერთიანობის, მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვების დღესასწაული, სოციალისტური დემოკრატიის მიღწევათა დათვალიერება.

წლევანდელი არჩევნები პირველია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მის მიღებას წინ უძღოდა საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელმაც გაამდიდრა არა მარტო თვით ქვეყნის ძირითადი კანონი, არამედ სოციალისტური დემოკრატიის პრაქტიკაც. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ახალი კონსტიტუცია არის მილიონთა პოლიტიკური აქტიურობის ნაყოფი, კომუნიზმის საქმისადმი საბჭოთა ხალხის ერთგულების, მისი დიადი საქმის გამარჯვების რწმენის ვამოხატულება.

განაღებული საარჩევნო კამპანიის ხასიათი, მაღალი მომთხოვნელობა და თვითკრიტიკულობა, რომლებითაც აღინიშნა წინასაარჩევნო ღონისძიებანი, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: ახალმა კონსტიტუციამ მძლავრი იმპულსი მისცა ჩვენი სახალხო ხელისუფლების განვითარებას.

თითოეულ საბჭოთა ადამიანს შესანიშნავად ესმის, რომ ჩვენი ქვეყანა დაწინაურდა. მეათე ხუთწლედის სამი წლის შედეგები მჭევრმეტყველურად მოწმობს იმ კურსის სისწორეს, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა. დადად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოტენციალი. პარტიის ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და 1978 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად უდიდესი ღონისძიებანი ხორციელდება იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა გადაიქცეს ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად, გადაივიდეს იგი ინდუსტრიულ ბაზაზე.

სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანია დაკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის გამოყენებულია მოხმარების უზარმაზარი მეშემრე. ეს ფონდი საზოგადოებრივი ფონდები. სახელმწიფო, რომელიც იყენებს ამ ფონდებს, ითვალოობს მოქალაქეთა ისეთი კონსტიტუციური უფლებების მატერიალური გარანტიებს, როგორიც არის განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების უფლება, მატერიალური უზრუნველყოფა მოხუცებულობაში, უზრუნველყოფს დედობის დაცვას, ბევრი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

დღეს საბჭოთა ადამიანი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე ოდესმე წარსულში, თქვა შემდეგ კ. უ. ჩერნენკომ. ეს უდავო ფაქტია, ცხადი რეალობაა. ამასთან პარტია და სახელმწიფო ითვალისწინებენ, რომ ჯერ კიდევ სრულად არ კმაყოფილდება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა, გაუმჯობესებას მოითხოვს პროდუქციის ხარისხი, საჭიროა მისი ასორტიმენტის გაფართოება. სერიოზული ხარვეზებია საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. ყველა საჭირო ღონისძიება ხორციელდება ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვისაც.

სრულიადაც არ არის საეჭვო, რომ გადავწყვეტთ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, თავს გავართმევთ არსებულ სიძნელეებსაც. და ამას მით უფრო სწრაფად მივაღწევთ, რაც უფრო უკეთ მოეწყობა მუშაობა თითოეულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, თითოეულ დაწესებულებაში, ინსტიტუტში, ლაბორატორიაში, თითოეულ უბანზე, სამუშაო ადგილას. ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხის გარჯით შექმნილი მთელი დოვლათი კეთილ ხალხს უბრუნდება. თუ შეძლებთ სწრაფად გავამრავლოთ ეს დოვლათი, მაშინ ასევე სწრაფად გაუმჯობესდება თითოეული ოჯახის, თითოეული მშრომელის კეთილდღეობა.

სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ჩვენს წარმატებასა და მიღწევას უნდა ეუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებისადმი პარტიის ღრმა მეცნიერულ მიდგომას, განაგრძო დეპუტატობის კანდიდატმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბოლო წლების ბევრი დოკუმენტი პარტიული მშენებლობის პრობლემებს ეძღვნება. ამ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ აღმშენებლობის ორთოლესური პროცესების მართვა, განვითარებული სოციალიზმის ეტაპისა და კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებათა მეცნიერული განზოგადება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიული და საბჭოთა მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პრაქტიკის ბევრი აქტუალური პრობლემა აღძრა თავის შრომებში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ლენინდ ილიას ძის წოდებმა გაამდიდრა პარტიის იდეური საგანძური. ისინი კვლავ ხაზს უსვამენ, თუ როგორ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საქმისათვის, რომ აზრებისა და შთაგონების წყარო მდიდარი ხალხური სიბრძნე იყოს, რომ დღენიადაგ განვამტკიცებდეთ კავშირს მასებთან, მათ ვეყრდნობოდეთ.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხებს, შეეხო სამმართველო აპარატის მუშაობის, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი გაუჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების ზოგიერთ მხარეს. მისადმი მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თქვა მან, საზოგადოების საქმეთა მართვა, სამმართველო აპარატის მუშაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ. მართვის სისტემა, მისი ყოველდღიური პრაქტიკა, რაც შეიძლება მეტ გასაქანს უნდა აძლევდეს საწარმოო ძალების განვითარებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ სრულყოფას, მაქსიმალურად ეფექტიან გავლენას ახდენდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაზე.

თანამედროვე სამმართველო აპარატის წინაშე დგას ამოცანა — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები შეურწყას განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შესაძლებლობებს.

დღეს მაღალი პოლიტიკური შეგნება, მარქსისტულ-ლენინური განათლება, პროფესიული მომზადება, ცოდნის მუდმივი სრულყოფისადმი მისწრაფება, მართვის თანამედროვე მეთოდების დაუფლება პარტიული და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის სავალდებულო თვისებებად იქცა.

ადმინისტრაციული აპარატი პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის დიდმნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. ყოფაცხოვრებაში, ჩვენს შეგნებაში იგი ზმირად სახელმწიფოსთან გვაქვს გაიგივებული. ამ ფართოდ გავრცელებულ და სავსებით გასაგებ შეხედულებებს ანგარიში უნდა გავუწიოთ და მუდამ უნდა გვახსოვდეს: აპარატში რომელიმე საკითხის განხილვისადმი მიკერძოებული მიდგომა, ვიღაცის ბედისადმი ფორმალური დამოკიდებულება, ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით, როცა მმართველობის ამა თუ იმ ორგანოებს მივმართავთ, — ყოველივე ეს ჩრდილს აყენებს არა მარტო ამა თუ იმ ხელმძღვანელსა და ორგანოზაციას, არამედ საერთოდ ჩვენს საბჭოთა დემოკრატიასაც. ამით განიზომება მმართველობის თითოეული რგოლის, ყოველი მისი მუშაკის დიდი პასუხისმგებლობა.

დეპუტატობის კანდიდატმა გააანალიზა თანამედროვე საერთაშორისო პრობლემები და ხაზი გაუსვა: მშვიდობა ქვეყნად კიდევ უფრო სანიმედო გახდა. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა ახლა გაუსაკუთრებით მტკიცეა. საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, მის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების გაღრმავება, არმიათა რიცხვისა და შეიარაღების შემცირება, სამხედრო ბიუჯეტების შემცირება და ამრიგად საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრება სამხედრო კონფრონტაციის უფრო დაბალ დონეზე, იწონებენ და მხარს უჭერენ პლანეტის მთელი პროგრესული ძალები.

საბჭოთა ადამიანები ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს, თქვა დასასრულ ორატორმა.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ერთიანი ინტერესებით, საერთო მიზნებითა და ამოცანებით ცხოვრობს. ამიტომ არის, რომ ყველა მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევ, ათწლეულების ბრძოლითა და შრომით ნაკად საარჩევნო ბლოკს, მის ღრმა ჰუმანურ, ჭეშმარიტად კეთილშობილურ საარჩევნო პლატფორმას.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ოლქის ამომრჩევლებს, რომ თავისი ყოველდღიური საქმეებით, მთელი პრაქტიკული მუშაობით ეცდება მთლიანად გაამართლოს ეს დიდი პატივი, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარს პარტიისა და ხალხის სამსახურს. (საკდესი).

რა მოხდა ბზიფში

ანუ რატომ ჩამორჩა კომბინატი, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლებოდა?

მეორე წელია, რაც ბზიფის ხისდამამუშავებელი კომბინატი საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებს. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ეს ერთ-ერთი უმსხვილესი სახერხი საწარმო თავისი ძირითადი პროდუქციით — დახერხილი ხე-ტყის მასალებით შეუწყნარებელი შეფერხებებით ამარაგებს თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის ავეჯის საწარმოებს, გაგრის, სოხუმის, ოჩამჩირის სამშენებლო ტრესტებს და სხვა ორგანიზაციებს. მათი უმრავლესობა ერთ უწყებას ეკუთვნის. ამიტომაც ისინი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ჯარიმის გადახდაში ბზიფელებს ერთგვარ შეღავათს აძლევენ. ასე რომ არ იყოს, კომბინატი ალბათ გაკოტრდებოდა. მიუხედავად ამისა, შარშან კომბინატმა ამ მიზეზით მაინც გადაიხადა 9 ათასი მანეთი ჯარიმა.

კომბინატმა შარშან სარეალიზაციო გეგმას 400 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია დააკლო, ხოლო 2.650 ათასის ნაცვლად დაადგა 2.199.5 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

რა მოხდა ბზიფში? რატომ ჩამორჩა კომბინატი, რომელიც წინათ ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლებოდა?

სამინისტროს მიერ საჭირო ფონდებით დროული უზრუნველყოფის მიუხედავად, კომბინატს ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი მაინც სახერხი ნედლეულის უქონლობაა. ეს კარგად იციან საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროში, მაგრამ დღემდე მიღებული სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „საქხეტყემრეწველა“ ბზიფის კომბინატის ნედლეულით მომარაგების განრიგებს მიმწოდებლებს ზოგჯერ კვარტალში ერთხელ უგზავნის და ისიც დიდი დაგვიანებით. მაგალითად, შარშანწინ დასახერხი მორის მეოთხე კვარტალისათვის მიწოდების განრიგი კრასნოიარსკის „ხეტყემრეწველობა“ მხოლოდ ნოემბერში მიიღო. ანალოგიური შემთხვევები აქ ოშვიათი არ არის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ შარშან ბზიფელებისათვის დასაწრეხი ნედლეულის მიწოდების დაგალების შესრულებას გულრიფშის სატყეო კომბინატმა დააკლო 4.900 კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყე, გაგრის სატყეო მრეწველობის მეურნეობამ — 2 ათას კუბურ მეტრზე მეტი წიფელი, ხოლო ირკუტსკისა და შუა ურალის სატყეო კომბინატებმა — თითქმის 10 ათასი კუბური მეტრი.

ნედლეულის მიწოდების აეთმა შეფერხებებმა ბზიფის კომბინატი საწარმოო დაგალებათა შესრულების ჩაშლის პირამდე მიიყვანა, ამავე დროს, ნედლეულის უკმარისობის გამო, კომბინატი წარმოების საჭიროებისათვის იძულებით ხარჯავს გარდამავალ ნორმატიულ მარაგს, რომლის შევსებებად სამინისტროს მიერ მიღებული ზომები შედეგს ვერ იძლევა. სათანადო რესურსების უქონლობის გამო, რაც, თავის მხრივ, ეხადია, გეგმის შეუსრულებლობის კიდევ ერთ პირობას ქმნის და, რა გასაკვირია, რომ ბზიფის კომბინატში ნედლეულის უქონლობის გამო ხშირია მოცდენა, იზრდება დანაკარგები და წარმოებასაც ძმიმე ფინანსური მდგომარეობა ექმნება. არაზუსტი ბონაკეტმებით, აქ შარშან აღრიცხა სამუშაო დღეების გაცდენის 233 შემთხვევა.

კომბინატი ნედლეულის ძიებაში მიდებულ ორგანიზაციებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ჯარიმებს ახდევინებ. ბაგალინიტის ჯარიმის სახით გადაუხადეს 18.302 მანეთი, შარშან — 27.017 მანეთი. მაგრამ მარტო ჯარიმებით კომბინატი საქმეს ვერ უშველის და ჩავარდნას თავს ვერ დაადწევს.

„აფხაზეთის სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტყეებში შეწყდა ხე-ტყის დამზადება, რის გამოც 140 ათასი კუბური მეტრით შეიკვრდება რესპუბლიკაში მერქნის დამზადების მოცულობა. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია ქვეყნის სხვა რაიონებიდან შესაბამისი რაოდენობის ხე-ტყის ბაზები მოამარაგებენ. წინათ კი, როგორც აღვნიშნეთ, კომბინატს ძირითადად აფხაზეთის სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ამარაგებდა. საიდანაც გაგრისა და გულრიფშის სატყეო მრეწველობის კომბინატები დიდი დიამეტრის მორებს აწვდიდნენ, რომელთა დამუშავებაც კომბინატის სამკეთილებში სათანადო სპეციალური დანადგარის საშუალებით ხდებოდა. ახლა კი რესპუბლიკის გარედან შემოსული მცირე დიამეტრის ხე-ტყის დასამუშავებლად ბზიფელები ძზად არ არიან. წარმოებას ესაჭიროება მცირე დიამეტრის ხე-ტყის გადამუშავებელი ახალი დანგა-დანადგარები, რომლებითაც ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გაფუვტილია კომბინატის ხელახალი აღჭურვა 1979 წლის განმავლობაში. მანამდე კი კომბინატი არსებული ტექნოლოგიური სქემის მეშვეობით იმუშავებს.

ეკონომიკური ხელშეკ. კომბინატში სათანადო სიმაღლეზე არ დგას [illegible] საკითხი. [illegible] ობა შეშად, რომლის გადამუშავებით შეიძლება დამზადდეს ფართო მოხმარების საგნები, რაც საგრძნობლად გაზრდიდა მერქნის გამოყენების კოეფიციენტს.

მერქნის მაქსიმალური კამოყენების მიზნით ბზიფის კომბინატში დაპროექტებულია ტექნოლოგიური ნაფოტის დასამზადებელი საამქრო. შედეგად ეს ნაფოტი გამოიყენება მერქან-ბოჭკოვანი ფილების დასამზადებლად. ამ საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ნარჩენებს მთლიანად გამოიყენებენ და მერქნის გამოყენების კოეფიციენტი გაიზრდება 10 პროცენტით.

საწარმოში, სამწუხაროდ, ცუდად იყენებენ შრომის ეფექტიანობის ამაღლების შინაგან რეზერვებს, სუსტია საწარმოო დისციპლინა, ხოლო საამქროებსა და ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრება აქ მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა.

კომბინატის მუშაობის უკეთ წარმართვას ხელს უშლის აგრეთვე მუშათა არასახარბიელო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. სამწუხაროა, რომ კომბინატს არ გააჩნია კლუბი, არა აქვს სასადილო, მედპუნქტი, საშხაპე, გასახდელები. სამინისტროს ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს საწარმოს კოლექტივისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ამ ბდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითს ღონისძიებებს არც პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტი ახორციელებს და არც გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ყველაფერი ეს კი, რასაკვირველია, მუშების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საერთაშორისო ცხოვრება

იგვერიებენ ჩინელ ექსპანსიონისტებს

ჰანოი, 26 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის ჩრდილო რაიონებში შეჭრილი ჩინელი აგრესორები დამატებითს შეიარაღებულ ძალებს, კერძოდ, ტანკებსა და მძიმე არტილერიას იყენებენ, რათა ხელი იგდონ მთავარი ობიექტები ვიეტნამის ტერიტორიის სიღრმეში. ისინი სამრეოლო მოქმედების რაიონებში გზავნიან ახალ ჯარის ნაწილებს და ცდილობენ სულ უფრო დიდი მასშტაბით გაავრცელონ სამხედრო ოპერაციები.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ვიეტნამის ჯარები და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩრდილო პროვინციათა მოსახლეობა გმირულად იცავენ თითოეულ მტკაველ წმიდათაწმიდა მიწას, საკადრის პასუხს სცემენ ჩინელ აგრესორებს. 22 და 23 თებერვალს სასაზღვრო პროვინციათა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს ტალნგისა და პატანის (ლაიტიაუს პროვინცია) რაიონებში, თხანთხიუს რაიონში (ხატუენის პროვინცია), დონგ-დანგის, ტამლუნგისა და ლოკანინის (ლანგშონის პროვინცია) მახლობლად. ვიეტნამელმა მებრძოლებმა წინსვლა შეაწყვეტინეს მოწინააღმდეგეს კაობანგის პროვინციის № 4 გზატკეცილის რაიონში. აგრესორი დიდად დაზარალდა ქალაქ ლაოკაის სამხრეთ-დასავლეთით გამართულ ბრძოლებში.

საბრძოლო მოქმედების რაიონებში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგის ბევრი ჯარისკაცი გაანადგურეს.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ატყობინებს, ზუსტი და ოფიცი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

ოქრო აჭარის ლაჟვარდში

4 მარტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ხვდება მზიური აჭარა. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს და ამით კიდევ ერთხელ გამოხატავენ თავიანთ გულისთქმას — 4 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა ჩვენი ქვეყნის რჩეულ ადამიანებს. სწორედ ამის შესახებ მოგითხრობთ ამ გვერდში.



ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ერთ-ერთი კუთხე. ვ. ბაბაიანის ფოტო.

ბათუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახვედრად მზად არიან № 20 ბათუმის კლდიაშვილის საარჩევნო უბანში. აქტიურობენ აგიტატორები, ხალხმრავლობაა ამომრჩეველთა კლუბში, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, ეწყობა ლექცია-მოხსენებები, გამოვიდა კედლის გაზეთი „ამომრჩევლის ხმა“. კოლექტიურად უსმენენ ტელეგადაცემებს.

მოწინავე აგიტატორებმა ნ. გუჯაბიძემ, ც. ჯიბლაძემ თავიანთ საგიტაციო უბნებში უკვე რამდენჯერმე მოაწყეს საუბრები, ამომრჩევლებს აცნობენ საარჩევნო სისტემას, საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობას.

მეზღვაურთა აგიტპუნქტი შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. შენობის ფასადი კარგად არის გაფორმებული, იქვეა ნავსადგურის № 8 საარჩევნო უბანი.

აგიტპუნქტში მუდამ ხალხმრავლობაა, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ეწყობა მხატვრული ღონისძიებები, ამომრჩევლებს ბოლო დროს უჩვენეს კინოსურათები „პრემია“, „ბრეჟნევი ყაზახეთში“, მოეწყო კინოლექტორიუმი, „მე საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვარ“. მხატვრულ ღონისძიებებს დაესწრნენ მომმე ბულგარეთისა და იუგოსლავიის მეზღვაურები.

დარბაზში ბევრი პლაკატი და სურათია. კვირა იყო, ამომრჩევლები განუწყვეტლივ მოდიოდნენ, ეცნობოდნენ სიებს, კითხულობდნენ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს, დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

აგიტპუნქტში მუსიკა და მხიარულება გვიან ღამემდე გაგრძელდა.

მ. გოგოძე.

ჩვენი ყოფის საზღვარი:

იშრომე და იამაყე

ამთავრდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადება. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ქობულეთის რაიონის მშრომელებს ცოტა რამ როდი აქვთ სათქმელი და საამაყო. ოცამდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები საწარმოებსა და ველ-მინდვრებში ქმნიან ქვეყნის ბარაქას. მარტო ის რად ღირს, რომ აქაურ მეციტრუსეებს მოჰყავთ საქართველოს ციტრუსების მთელი მოსავლის თითქმის ნახევარი. ალბათ, არ არის ოჯახი, რომლის სუფრას ჩვენგან გაგზავნილი „ოქროს ნაყოფი“ არ ამშვენებდეს.

თვალწუდენელი და ბარაქიანია ჩვენი პლანტაციები, ჩვენი მეჩაიე შესანიშნავად დაეუფლა ამ ძვირფასი კულტურის მოვლა-პატრონობას. შარშან რაიონში მოიკრიფა 39.300 ტონამდე ხარისხოვანი ფოთოლი. განსაკუთრებით აღსანიშნავი ისიც არის, რომ საშუალო-ჰექტარობრივმა მოსავალმა 8.100 კილოგრამს გადააჭარბა. 1974 წელთან შედარებით რაიონში ჩაის მოსავალი გაიზარდა 8.000 ტონით, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 2.000 კილოგრამით. მეჩაიეთა შრომა უფრო სახალისო გახდა და შემსუბუქდა. მათ დასახმარებლად მოვიდა დიდი და მცირე მექანიზაცია. ათასამდე ტრაქტორმა, ხელის საკრეფმა და სასხლავმა აპარატებმა შეცვალა მეჩაიეთა მძიმე შრომა.

დღეს ორხმაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზაციით იკრიფება მთელი მოსავლის 80 პროცენტი. ცეცხლაურისა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობებში, ხუცუბნის, ქაქუთისა და სხვა კოლმეურნეობებშიც გადამწყვეტ სიტყვას ამბობს მექანიზაცია. ჩვენი სოფელი მტკიცედ დაადგა მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის გზას. წარმატებები განაპირობა მშრომელების მრავალმა თაოსნობამ. მაგალითად, ციხისძირელებმა ივალდებულეს პლანტაციებში სიმეჩხრის მოსპობა, ხალელებმა — საზოგადოებრივ სექტორში ციტრუსების 10 დღეში მოკრეფა. მათ თაოსნობას მთელი რაიონი გამოეხმაურა და ამას შესანიშნავი შედეგი მოჰყვა.

თავი ისახელეს მრეწველობის მუშაკებმა. ხილის კონსერვები, ბამბის ქსოვილები ქობულეთის მარკით მომხმარებელს მოსწონს, ჩვენი ჩაი საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

დიდებული სანახავია თანამედროვე სოფლებისა და დაბების ცენტრები. საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტები, კულტურისა და განათლების დაწესებულებები, მოასფალტებული გზები, მშრომელთა ცხოვრების მაღალი დონე... ათმილიონობით მანეთი შემოსავალი აქვთ ისეთ სოფლებს, როგორიცაა ხუცუბანი, ალამბარი და სხვ.

ამ დღეებში ჩვენს მშრომელებს კულტურის ცენტრებში მიუხარიათ. ჩაქვში, ხუცუბანში, ოჩხამურში, ბობოყვათსა და სხვა სოფლებში ყოველდღე უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, ემართება ლექცია-საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ეცნობიან დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიებს, ეწყობა მათთან შეხვედრები.

ყველა ამომრჩევლისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ჩვენი სამოქმედო პროგრამა. პარტია მოგვიწოდებს, რომ ახალი შრომითი წარმატებებით შეეხვედთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, გადავაქციოთ 1979 წელი დამკვრელური შრომის წლად, გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ორი ათასზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი აცნობს მშრომელებს ჩვენს სადღეისო ამოცანებს, რაზმავენ მათ ახალი ამოცანების გადასაწყვეტად.

მომავლის ახალი ამოცანები კი ჩვენი რაიონის მშრომელებისათვის უკვე ცნობილია, ისინი განიხილეს საბრიგადო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ კრებებზე, რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. გავადიდოთ ჩაისა და ციტრუსების, დაფნის ტუნგისა და სხვა კულტურების ფართობები, ვეძებოთ ახალი რეზერვების ამოქმედების გზები, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება,— ასეთია ჩვენი სამოქმედო პროგრამა. ჩვენმა მშრომელებმა ივალდებულეს: მრეწველობის დარგში გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1 მილიონი მანეთის პროდუქცია, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გააუჯობესონ პროდუქციის ხარისხი, სოფლის მშრომელებმა მოკრიფონ 39.400 ტონა ხარისხოვანი ჩაი, 60.000 ტონა ციტრუსი...

ნათქვამია: გაზაფხულის ყოველი დღე წელიწადს კვებავსო. ეს ცხოვრებისეული სიბრძნე კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს მშრომელებს. თებერვალში კოლმეურნეები უკვე გავიდნენ პლანტაციებში, შეგვაქვს სასუქები, ვბარავთ ჩაის პლანტაციებს და ციტრუსის ბაღებს, დავიწყეთ ჩაის გასხვლა და სპირე მასის აღება; ველად გუგუნებენ ტრაქტორები, ხნულს ხნული მისდევს, ყველგან გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. აქტიურობენ მრეწველობის მუშაკებიც. მრავალმა საწარმომ და ბრიგადამ ვალდებულება იკისრა კვარტალის გეგმა არჩევნების დღისათვის შეასრულონ და გვჯერა, სიტყვას სახელოვანი საქმეც მოჰყვება.

ბ. ჯიქია,
საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი, № 177 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ციფრების ენით

რ ო გ ო რ ვ ი ზ ა რ დ ე თ!

ბათუმში უკანასკნელ 4 წელიწადში აშენდა ელექტრომექანიკური ქარხანა, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის თბოელექტროცენტრალი, ჩაის საწონი ფაბრიკა.

სამ წელიწადში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 26 მილიონი მანეთის პროდუქცია. გაზჭურების წარმოება 2-გაიზარდა 20 ათასი ცალით, ელექტროკარებისა — 400 ცალით, ელექტროტექნიკური ნაწარმისა — ორჯერ.

რაციონალიზატორებმა შეიტანეს ათასობით წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი წელიწადში 11,8 მილიონი მანეთია.

ქალაქი დაამშვენა ზღვისპირა პარკის შადრევნებმა, ნავსადგურისა და რკინიგზის სადგურის სკვერებმა, საექსპლოატაციოდ გადაეცა 400 მეტრი სიგრძის ახალი ნავმისადგომი.

1978 წელს შეიქმნა აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

აჭარის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წილი აქვს ქობულეთის რაიონს, სადაც მუშაობს 9 ჩაის ფაბრიკა, ტუნგის ზეთსახდელი, საკონსერვო და ხილ-კენკრის წვენების ქარხნები და ბამბეულის ფაბრიკა. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია 3 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 7 საავადმყოფო 550 საწოლი ადგილით, 22 საფერშლო პუნქტი.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქობულეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა 30.235 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი,

ა გ ი ტ ა ტ ო რ ე ბ ი მ შ რ ო მ ე ლ ე ბ თ ა ნ

შუახევი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მორიგი არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის. მთელი ძალით ამოქმედდა აგიტპუნქტები, ათობით აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ატარებენ საუბრებს სოფლებში მშრომელებთან. საგიტაციო მუშაობას უფრო ფართოდ აჩაღებენ ტბეთის, დღვანის, ოლადაურის, სამოლეთის პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტპუნქტები. აგიტპუნქტებში გამოკრულია პლაკატები, აქტიურად იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციას, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, მოწინავე აგიტატორები გ. ფუტკარაძე, შ. კეკელიძე, ი. ზუთაბაშვილი და სხვები თავიანთ საუბრებში კონკრეტული ციფრებითა და ფაქტებით ნათელყოფენ პარტიის დიდ ზრუნვას, რომელმაც განაპირობა მთის სოფლების ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებები.

იდეოლოგიური დარგის მუშაკებთან ერთად წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურობენ სოფლის კულტურის კერები, იმართება მხატვრული ღონისძიებები. კლუბებსა და ბიბლიოთეკებში გამოფენილი პლაკატები ასახავს ჩვენი ქვეყნის მიღწევებს.

ხმა ეს მისცემენ ერთსულოვნად!

გზა ოკეანეზე გადის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონია მეზღვაურმა ამომრჩევლებმა იმ დღეს „ტანკერ „გენერალ ბაგრატიონზე“ მიიწვიეს: დაუვიწყარი იყო ეს შეხვედრა. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურებს სიხარულისაგან სახე უბრწყინავდათ — ისინი პირადად გაეცნენ სახელგანთქმულ მსახიობს. მეორე დღეს „ტანკერს“ კურსი ამერიკისაკენ უნდა აეღო — კუბაში ხუთი დასახელების ტვირთი მიჰქონდათ.

გულობილი, საზეიმო შეხვედრა გემის კაპიტანს გ. ტარასოვს მიჰყავდა. კაპიტნის პირველმა თანაშემწემ გ. შარაშიძემ მეზღვაურთა სახელით დეპუტატობის კანდიდატს აღუთქვა, რომ 4 მარტს ერთსულოვნად მისცემენ ხმას.

შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა დაათვალიერა ხომალდი, აგიტპუნქტში გამოფენილი ლიტერატურა და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა თვალსაჩინოებანი.

დეპუტატობის კანდიდატმა ლამარა ჭყონიამ შორეული კურერის გემის ეკიპაჟს გზა დაულოცა.

ბ. გოგუა.

დღეს სამოლეთში

სამოლეთი რაიონის მთის სოფელია. ახლა აქ დიდი თოვლია, მიმოსვლა ჭირს, მაგრამ სოფელში უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას ეს ხელს ვერ უშლის. ძველგან საზეიმო განწყობილება იგრძნობა, საარჩევნო უბნის კლუბი და აგიტპუნქტი პლაკატებითა და ტრანსპარანტებით მოურთავთ. ჩვენი აგიტატორები ი. ველიაძე, ა. ბერიძე და სხვები ამომრჩევლებს ესაუბრებიან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, კონსტიტუციურ უფლებებზე.

მ. პატარიძე,
შუახევის საარჩევნო უბნის აგიტატორი.

სურათებზე: ზემოთ — ქალაქ ბათუმის ახალგაზრდა ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ჩამომსხმელი ფ. ბერიძე, სავაჭრო ტექნიკუმის მოსწავლე ა. გაბაიძე, ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლე ზ. გიგინეიშვილი, ცენტრალური ნავთობბაზის მუშა ა. ქათამაძე, № 6 საშუალო სკოლის პიონერთა ხელმძღვანელი მ. ორაგველიძე, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლე ე. ქორიძე, № 4 სამუსიკო სკოლის პედაგოგი მ. ცინცაძე; ქვემოთ — ბათუმის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკი.

ნ. ანასტასიევის და ი. ფეალის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რწმენა საკუთარი ძალისა

□ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ თაოსნები? □ ჩრდილში... აღიარების შემდეგ □ კეთილ საძმეთა აღორძინება □ სოფელი კვლავ დიდ გზაზე გამოდის

ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წლის გვიანი შემოდგომა იდგა, როცა მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა ხუცუბნელთა თაოსნობა — დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველნაირი დარღვევებისათვის და თითოეული მოქალაქის საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დაექვემდებარებინათ.

საგულისხმოა, რომ ჩვენი ადამიანების ინიციატივიანმა და შეგნებულმა მოღვაწეობამ სწორედ მაშინ იჩინა თავი, როცა წარმოიქმნა ნოყიერი ნიადაგი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, როცა საქართველოში გაჩაღდა წმიდათაწმიდა ბრძოლა მორალური კლიმატის გასაჯანსაღებლად.

ხუცუბანი ერთ-ერთი პირველი იყო თვით თაოსანთა შორის.

ამ ამბიდან არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა და ერთბაშად მიწუდა ხუცუბნელთა ხმა, ვერც გაზეთების ფურცლებზე წაიკითხავდით აქაურთა გვარებს ძველებურად.

ერთმა მეტად გულსატკივნმა ფაქტმა შელახა სოფლის ღირსება და ავტორიტეტი. საქმე ის არის, რომ გამოაშკარავდა უსაქმონლო ოპერაცია ხუცუბნის ჩაის ფაბრიკასა და კოლმეურნეობას შორის. ბევრი ხუცუბნელის სახელი ლაფში გაისვარა.

ასე იჩინა თავი ძველმა ცოდვამ, მაშინ როცა ყველას ეგონა, სოფელში ახალმა სიომ დაბერაო.

ხუცუბანი ვერ აღმოჩნდა მორალურად და პოლიტიკურად მომზადებული დიდი საქმისათვის...

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. დროის ამ არცთუ მცირე მონაკვეთში ხუცუბნელებს შეეძლოთ აღედგინათ შებღალული ავტორიტეტი და ქვეყნისათვის დაემტკიცებინათ, რომ შესწევთ ძალა და უნარი საკუთარი ოფლით გამოესყიდათ საკუთარი დანაშაული...

როგორღა ცხოვრობენ და შრომობენ ახლა თაოსნები? რა იღონეს ხუცუბნელებმა გატეხილი სახელის აღსადგენად? სწორედ ეს გვაინტერესებდა, როცა თებერვლის ერთ დღეს სოფელს ვეწვიეთ და იქაური შრომელების ამბავი გამოვიკითხეთ.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ხუცუბნელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს — მათ შესწევთ ძალა მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ და სანიმუშო ყოფაქცევითა და ბეჯითი შრომით კვლავ უურადღება მიიქციონ.

ეს ამბავი კი ასე დაიწყო.

ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი წლის ბოლოს კოლმეურნეობას ახალგაზრდა, ენერგიული კაცი — გურამ ნიჟარაძე ჩაუდგა სათავეში.

ახალ თავმჯდომარეს ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო, რადგან... განთავისუფლებული იყო კოლმეურნეობის ყველა აგრონომი და თითქმის ყველა ბრიგადირი. კოლმეურნეობის გამგეობის შემადგენლობაში აღარ დარჩენილა არც ერთი ძველი წევრი.

ყველაფერი მოითხოვდა მტკიცე კონტროლს. ყოველი მოვლენისათვის საჭირო იყო ერთგვარი ეჭვის თვალით შეხედვა და ახალი თავმჯდომარე ამ ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დარწმუნდა, როცა ციტრუსის ბაღებით დაინტერესდა... 75 ჰექტარი ციტრუსი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მის დასამუშავებლად კი დარიცხული იყო ასობით კაცდღე.

ასე გადაჯაჭვა ერთმანეთს სოფლის ნაკლი და სიკეთე, და თავჭდომარესაც ათასი საზრუნავი გაუჩნდა.

... იდგა ციტრუსის რთველი. ერთი თვე ნარინჯოვანთა ბაღებში ტრიალებდა მთელი სოფელი. თავმჯდომარეც მათთან აღამებდა და ათენებდა.

— ამხანაგო, თავმჯდომარეკ! — უთხრა ერთხელ ერთმა კოლმეურნემ, — შარშან დელისპირებზე, ბუჩქებსა და ბარდებში დრეკილებად ეწყო გადამალული ფორთოხლები და მანდარინი. მართალია, ამას თითო-ოროლა სულმოკლე აკითებდა, მაგრამ ახლა, როცა არც მზრუნველობა გვაკლია და არც კონტროლი, ვერ ბედავენ ან თავს ამის ნებას აღარ აძლევენ.

ეს სიმართლე იყო.

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება სოფელში.

თუ ხუცუბნელთა ბოლო წლების მიღწევებს გადავხედავთ, მარტო ჩაის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები ასეთი აღმავალი მრუდით წარმოგვიდგება: 1975 წელს კოლმეურნეობაში მოკრიფეს 1995 ტონა ჩაი, 1976 წელს — 2203 ტონა, 1977 წელს — 3153 ტონა, ხოლო 1978 წელს ჩაის მოსავალმა 3.170 ტონას მიაღწია.

პირველ ხანებში არავის სჯეროდა სოფლის ეკონომიკაში ასეთი მკვეთრი შემობრუნება.

რა ხდებოდა მაშინ ადამიანთა სულში? ეს კონკრეტულად ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტ წელს 329 კაცს არ ჰქონდა გამომშაურებული შრომის სავალდებულო მინიმუმი, ათას ცხრაას სამოცდათვრამეტ წელს მათი რიცხვი ოთხმოცამდე შემცირდა.

... იმ დღეს „საზეიმო ელფერი დაჰკრავდა სოფელს. იწყებოდა კოლმეურნეობის საანგარიშო კრება. სოფლის კლუბთან ზედიზედ ჩერდებოდნენ ავტომანქანები. ალბათ კრებაზე დასწრების მსურველი ბევრი იყო, მაგრამ მხოლოდ სამასამდე წარმომადგენელს თუ ერგო ამ მნიშვნელოვან თავყრილობაზე მოწვევის პატივი.

შედეგები რომ შეაჯამეს, ბევრი აღბათ არ ელოდა წლის მაბძილზე მიღებულ ასეთ სიუხვეს. ჩაის გარდა, კოლმეურნეებმა მოიწიეს 537 ტონა ციტრუსი, 32 ტონა ხილი, 99 ტონა ბოსტნეული, 260 ტონა რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. გასულ საანგარიშო წელს „კოლმეურნეობამ 3.407.254 მანეთი ფულადი შემოსავალი — დაგეგმილზე 215.100 მანეთით მეტი — მიიღო. საშუალოდ ერთ „აცდღეზე გასცეს 7,78 მანეთი.

მრავალსიმტკიცელი ციფრებია! კრებაზე აღნიშნეს, თუ როგორ აშენდა და „ეთილმოწყობილი გახდა ბოლო წლებში სოფელი. ახლაც ხარაზოებში დგას მთელი ხუცუბანი და შენობებს ლამაზი შენობები ემატება.

უფრო დიდი სათქმელიც ჰქონდათ ხუცუბნელებს. ეს უპირველეს ყოვლისა სანიმუშო წესრიგსა და დისციპლინას შეეხებოდა და ყოველი ორატორის გამოსვლაში თითქოს გაისმოდა მეტად საჭირო გაფრთხილება:

— თავი აღარ შევირცხვინოთ თაოსნებო!

ამ გაფრთხილებაში კი ჩანდა საკუთარი ძალის რწმენაც და პასუხისმგებლობაც.

დიახ, ხუცუბნელებმა ახლა უფრო კარგად იციან ერთხელ ნათქვამი სიტყვის ფასიც და მნიშვნელობაც; თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მინავლებული ოქროფი ცეცხლად აქციეს, თაოსნის პატივისადმი სახელი აღიდგინეს და „ვლავაც ყოველდღიურ დევიზად გაიხადეს: „ვიბრძოლოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, მაღალი კულტურისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის!“

... წელს ადრე დათბა ზღვისპირეთში. აჭარა-გურიის მთების ძირას შეფენილ სოფლებშიც „კი სითბო ოც გრადუსს აღემატებოდა თებერვლის დამდეგს. იმ დღესაც ძალმოკრეფილი მზის სხივები დაჭფენოდა ციტრუსთა ნარგაზებსა და ჩაის პლანტაციებს. მთის კორტოხზე აშენებულ ბაღებში წეროს მწკრივებად მოჩანდნენ საბარავად გამოსული კოლმეურნეები. კინტრიშზე მხიარული გნიასით ყელყელაობდნენ იხვები და მერე მზის გულზე სველ ბუმბულს სიამოვნებით იბერტყავდნენ. ნაშუადღევს ქარმა გამორეკა ზღვიდან მრუმე ტრუბლები და ხუცუბანში სწრაფად მოვიდა შხაპუნა წვიმა. მთის კორტოხზე უცებ დაიშალა წეროს მწკრივები და იხვებმაც მდინარიდან სწრაფად აიკიცეს ფრთები.

ნამდვილი გაზაფხულის სუნთქვა მოდიოდა ზღვის მხრიდან, გაზაფხულისა, რომელიც სოფელს ათასგვარ საზრუნავს უჩენს.

ნ. ჯაველიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

აღმავლობის ნიშნით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ბათუმში განსაკუთრებით საზეიმო და სასიხარულო გაწყობილება იგრძნობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ აჭარის ასსრ და ქალაქი ბათუმი 1978 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ქალაქის მრეწველობამ ბოლო სამ წელიწადში წარმოების მოცულობა 15,7 პროცენტით გადიდა. ამ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 21 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო 1978 წელს 1974 წელთან შედარებით გამოშვებულია 46 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია.

განსაკუთრებით საამაყო ის არის, რომ მეათე ხუთწლედის ყველა სამეურნეო წელი ისე დამთავრდა, რომ ქალაქში არ ყოფილა არც ერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო. 1974 წელს მხოლოდ 1 სამრეწველო საწარმო თუ უშვებდა უმაღლესი კატეგორიის პროდუქციას. 1979 წლის 1 თებერვლისათვის ათობით საწარმო უშვებს ხარისხიან ნაწარმს, რომლის წილი საერთო პროდუქციაში 26 პროცენტია.

ბოლო წლებში აშენდა ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი კორპუსები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა მანქანათსაშენებელ ქარხანას, ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩაის საწონი ფაბრიკა, ამუშავდა თბოელექტროცენტრალი.

მთელი რესპუბლიკის საწარმოებმა აიტაცეს ბათუმის მანქანათსაშენებელი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების ინიციატივა, რომელიც ეხებოდა ყოველი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობის მაქსიმალურ გამოყენებასა და საწვავ-საპოხი მასალების მომჭირნედ ხარჯვას. ამ თაოსნობათა დანერგვამ მარტო აჭარის საწარმოებს მილიონობით მანეთი დაუზოგა.

ბათუმელთა პროდუქცია — ნავთობპროდუქტები, ელექტროკარები, ელექტროტექნიკური ნაწარმი, ჩაის ფაბრიკის მოწყობილობა საქვეყნოდ არის ცნობილი და მსოფლიოს ასობით ქვეყანაში იგზავნება.

4.000 აგიტატორსა და პოლიტინფორმატორს, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებით იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, როგორც ხედავთ, ბათუმისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის შრომითს წარმატებებზე და პოლიტიკურ საქმიანობაზე ბევრი რამ აქვთ სათქმელი. მჩქეფარე ცხოვრება არ წყდება აგიტპუნქტებსა და საარჩევნო უბნებში. ასეთი უბნები ქალაქში 110-ია. ტრანსპარანტები, მხიარული მუსიკა შორიდანვე იქცევს ყურადღებას. ბევრგან კოლექტიურად უყურებენ ტელეგადაცემებს, აწყობენ საუბრებს, ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. საარჩევნო უბნების ჩარაღდნები გვიან ღამემდე კაშკაშებს.

არჩევნებთან დაკავშირებით საწარმოების ათობით ბრიგადამ და საამქრომ იკისრეს ვალდებულება პირველი კვარტალის გეგმა არჩევნების დღეს — 4 მარტს შეასრულონ.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვეტერანთა სიტყვა

შექმნა გამრჯე მარჯვენამ

XIX საუკუნის დამლევისათვის ბათუმის საწარმოებში 11 ათასი მუშა იყო დასაქმებული. ისინი მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

900-იანი წლებიდან ბათუმი გრანდიოზული გაფიცვების მოწმეა, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დროს ბათუმის პროლეტარიატი მედგრად იბრძოდა ბარიკადებზე. ამიტომაც იყო, რომ ლენინი მოითხოვდა აჯანყებული „პოტიომკინის“ ჩასვლას ბათუმში და იქაური რევოლუციონერებთან ერთობლივ ბრძოლას.

რამდენი ტრაგიკული წლების მნახველია ქალაქი! ჯერ იყო და, ანტანტა ბატონობდა, შემდეგ მენშევიკები, შემდეგ თურქეთის ჯარები. გამარჯვება მხოლოდ 1921 წლის მარტში მოვიდა.

ვიწრო, ქვაფენილიანი ქუჩები, დაჭობებული გარეუბნები, იავარქმნილი სანაპირო, მოშლილი მეურნეობა, — ასეთი სურათი იყო გამარჯვების პირველ წლებში.

ახლანდელი ბათუმი თვალს იტაცებს და გულს ახარებს: ლარივით გაჭიმული ქუჩები, ცად აწვდილი შენობები, მძლავრი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა, კულტურისა და განათლების ათობით კერა — პლაჟები და ხეივნები. ყველაფერი ეს ახალმა დრომ მოიტანა და მშრომელის გამრჯე მარჯვენამ შექმნა.

ვ. ჭანიშვილი,
ძველი რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან.

რა გზაა, რა სინათლეა!

ბოგოყვათში პირველი კოლმეურნეობა რომ ჩამოვაყალიბეთ, ხალხმა თავმჯდომარედ ამირჩია. არ ვიცოდით, რით, როგორ დაგვიწყო, ფული არ გვქონდა, ხარ-კამეჩი არ გვყავდა...

სახელმწიფომ ჩაის თესლი და ციტრუსის ნერგი მოგვცა. ასე დავიწყეთ დიდი საქმე. შევეფიქეთ გზების გაყვანას, ბაღების გაშენებას, სკოლის აგებას. ენერგიის დაუზოგავად ვმუშაობდით და შედეგმაც არ დააყოვნა.

დღეს ჩვენი კოლმეურნეობის ეს თვალწუდენელი უხმოსავლიანი პლანტაციები და ბაღები საერთო თავდადების შედეგია. ვინ იფიქრებდა მაშინ, თუ ამ დონეს მივაღწევდით, ვინ ოცნებობდა საკუთარ ავტომანქანასა და მოასფალტებულ გზებზე...

უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების მმართველობის სისტემა შესანიშნავად არის მოკეთებული ახალ კონსტიტუციაში.

არჩევნების დღეს ჩვენ დეპუტატობის სამ კანდიდატს მივიკვეთ ხმა. დიდი გულისყურით გავეცანით მათს ბიოგრაფიებს, მათს შრომასა და მოღვაწეობას. როგორ არ უნდა გიხაროდეს, რომ აჭარელი ქალი, მეჩაიე, პარლამენტის წევრი გახდება. კომკავშირელ ქალიშვილს მზევინარ ანანიძეს პარტიამ, ხალხმა შრომა დაუფასეს და დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. ეს ჩვენი შრომის, ჩვენი მიღწევების აღიარებაც არის.

ი. მახარაძე,
ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის ვეტერანი კოლმეურნე.

ჩემი კონსტიტუციური უფლება

როგორ არ უნდა ამაყობდე იმით, რომ ახალგაზრდა კაცი ეკუთვნი მუშათა კლასს და ქვეყნის კეთილდღეობაში, საერთო დოვლათში შეგაქვს შენი წვლილი.

ჩვენი ფაბრიკის ახალგაზრდებს კარგად ესმით, რომ სახელს და აღიარებას ლამაზი სიტყვებით ვერ მოიპოვებენ, ამისათვის საჭიროა თავდადებული შრომა. იმის შეგნება, რომ პირველად ვმონაწილეობთ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს არჩევნებში, კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას.

ბათუმის ავეჯის ფაბრიკის 55 კომკავშირელიდან 50 დასაქმებულია საწარმოს გადამწყვეტ უბნებზე. სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგში მოწინავე მუშების მხარდამხარ დგანან ახალგაზრდები. თ. მაცაბერიძე, გ. ბურჭულაძე, მ. ციხარიძე და სხვები.

თ. ადამია,
ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ჩვენი ფოტოსტენდი



ზამთრის ბოლო დღე.

(ბაკურიანი).

ნ. მეესხის ფოტო.

ისრეგი — მიზანში

ქეთევან ლოსაბერიძე — უძლიერესი

ჟდანოვში დამთავრდა მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი (დარბაზში) მ-2 ოლიმპიურ ვარჯიშში. ქალთა შორის საუკეთესო იყო საკავშირო თასის მფლობელი, თბილისელი **ქეთევან ლოსაბერიძე.** მან 2625 ქულა დააგროვა (საკავშირო მიღწევა) და ცხადია, ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა. მანვე 18 მეტრ დისტანციაზე სროლაში 580 ქულა დააგროვა და 7 ქულით გაუმჯობესა ამერიკელი ლ. რაიიანის მსოფლიო რეკორდი. ქართველი მშვილდოსანი ქალი კვლავ და კვლავ გვახარებს თავისი წარმატებებით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც იღბლიანად იასპარეზებს. ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მიიღო ტაშკენტელმა ნატალია ბუტუზოვამ (2612 ქულა). ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ირკუტსკელ ლიდია შიკოტას (2572).

ვაჟთა შორის უძლიერესი გახლდათ ჩიტელი ვ. ეშეევი (2583). მეორე ადგილზე გავიდა ბორსკელი ი. ვილკოვი (2574), მესამეზე — ბაქოელი ი. მიგაჩევი (2554).

დარჩა ოთხი ტური

ტაშკენტში გრძელდება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები. მეათე ტურში თბილისის „დინამომ" წააგო შეხვედრა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდთან ანგარიშით 5:8. ამ წარუმატებლობის შედეგად თბილისელთა სატურნირო მდგომარეობა გაუარესდა. მათ მეოთხე ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლეს (12 ქულა), ამჟამად პირველ ხუთეულში არიან მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი (19 ქულა), სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის კოლექტივი და მოსკოვის „დინამო" (17-17), კიევის „დინამო" და მინსკის „ბურევესტნიკი" (13-13 ქულა). გუშინ ტურნირზე გამოსასვლელი დღე იყო, დღეს კი შეჯიბრება განახლდება.

პირველ წრეში თითოეულ გუნდს 4 მატჩი დარჩა გასამართავი. თბილისელებმა სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში უნდა იმარჯვონ. მათი ამოცანაა მოხვდნენ საუკეთესოთა ექვსეულში. თბილისელებს მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემათ საშუალება მეორე წრეში განაგრძონ მედლებისთვის ბრძოლა.

ფეხბურთის ამბები

მსოფლიოს ჩემპიონის — არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ლუის სესარ მენოტიმ განაახლა კონტრაქტი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ეროვნული გუნდის მომზადების თაობაზე. ფეხბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მენოტის არგენტინის ნაკრების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მრავალი პრობლემა ექნება გადასაწყვეტი. ძველი გუნდიდან ხომ არაერთი ფეხბურთელი გადავიდა უცხოეთის საკლუბო გუნდებში.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ლავალეტაში გამართული მატჩი მალტისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ევროპის ჩემპიონატის (მეშვიდე ჯგუფი) ამ შესარჩევ შეხვედრაში აღინიშნა ფრე — 0:0. მეშვიდე ჯგუფში ლიდერობს უელსის ნაკრები (2 შეხვედრიდან 4 ქულა).

საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის (მეხუთე ჯგუფი) შესარჩევი მატჩი მოუგო ლუქსემბურგის გუნდს ანგარიშით 3:0. ფრანგები 5 ქულით (3 შეხვედრიდან) კლავინდენბურად ლიდერები არიან.

ავსტრიელი ჰანს კრანკლი, რომელიც ახლა ესპანეთის „ბარსელონაში „თამაშობს, ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია. მას 22 ტურში 23 ბურთი აქვს გატანილი.

ჭადრაკის დაფებთან

მიუნხენი. აქ გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. კარგი სტარტი აიღო ბ. სპასკიმ. ორი ტურის შემდეგ მას ქულათა მაქსიმუმი აქვს. სპასკიმ მეორე ტურში დამარცხა ისლანდიელი დიდოსტატი გ. სიგურიონსონი. ა. კარპოვისა და ი. ბალაშოვის პარტია გადაიდო. ა. ადორიანი (უნგრეთი) დაუზავდა კ. რობაჩს. (ავსტრია), უ. ანდერსონი (შვეიცია) — რ. ჰიუბნერს (გფრ). წილისყრით მოჭადრაკენი ასე არიან განლაგებული: 1. ანდერსონი, 2. ჰიუბნერი, 3. რ. ლაუ (გფრ), 4. სიგურიონსონი, 5. ბალაშოვი, 6. რობაჩი, 7. ვ. უნციკერი (გფრ), 8. პ. დანკენტი (გფრ), 9. დ. პახმანი (გფრ), 10. ჰ. პფლეგერი (გფრ), 11. ჰ. ლიები (გფრ), 12. ადორიანი, 13. კარპოვი, 14. ფ. ოლაფსონი (ისლანდია), 15. სპასკი, 16. მ. სტინი (ინგლისი).

დუბნა. აქ გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. 7 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ი. რაზუვაევი — 5 ქულა. ი. პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია) ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. საბჭოთა დიდოსტატს ა. სუეტინს ექვსი შეხვედრიდან ოთხი ქულა აქვს.

ტალინი. პაულ კერესის მემორიალზე გათამაშდა ოთხი ტური, ლიდერია რ. კნაკი (გდრ). მას სამი შესაძლებლიდან სამი ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ მ. ტალმა ორი დამთავრებული შეხვედრიდან ორი ქულა დააგროვა. რაც შეეხება კნაკთან გადადებულ პარტიას, რიგელ დიდოსტატს ზედმეტი პაიკი აქვს.

სატურნირო ორბიტაზე

ხელგურთი. მოსკოვში დაიწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტური. ცსკა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერთა მდგომარეობა (ორივეს ქულათა მაქსიმუმი აქვს — 12-12). არმიელებმა დაამარცხეს კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (33:29), სტუდენტებმა — რიგის „ელტნიეკი" (33:20). თბილისის „ბურევესტნიკი" იმის გამო, რომ საფრანგეთში ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფებოდა, შეჯიბრებაში მოგვიანებით ჩაებმება.

კრივი. რომში, ოლიმპიადა — 60-ის გამართვიდან 19 წლის შემდეგ, ერთმანეთს კვლავ შეხვედნიან ძველი მეტოქეები — მუჰამედ ალი და პოლონეთის ცნობილი მოკრივე ზბიგნევ პეტშიკოვსკი. ამ სპორტსმენთა მონაწილეობით საჩვენებელი სამწუთიანი რაუნდი გაიმართება სპორტული ფილმების ფესტივალის დახურვის შემდეგ.

ცურვა. ავსტრალიის ქალაქ პერტში 16 წლის ტრეისი უოკჰემმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 16 წუთი და 6,63 წამი.

ძალოსნობა. ათენში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 75 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა მოსკოველმა ავსეტ ავსეტოვმა. მან ორშიდში 302,5 კგ დააგროვა და 7,5 კილოგრამით აჯობა ცნობილ პოლონელ ძალოსანს ზბიგნევ კაჩმარეკს.

ფარიკაობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ გეპინგენში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვალენტინა სიდოროვამ ყველას აჯობა. მეოთხე ადგილი დაიკავა მინსკელმა ელენე ბელოვამ.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

28 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — (მ.), 09.50 — სატელევიზიო დოკუმენტური მენტური ფილმი „ჯამბაზები", 10.15 — ვამპილოვი — „სსსრ ფანჯრებით მინდვრიდან", სატელევიზიო სპექტაკლი (მ.), 10.45 — ცხოველთა სამყაროში (მ.), 16.55 — ახალგაზრდობისთვის — მათემატიკა (ფ.), 17.25 — შეკითხვა ლოთ გერმანული ენა, 17.55 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ლენინგრადი). შესვენების დროს — კინოჟურნალი, 19.45 — მსოფლიო დღეს (მ.), 20.00 — მეგობრობის გზებზე (ფ.), 20.35 — მულტიპლიკაციური ფილმები „გოგონა და ლომი" და „ლურჯი მელია", 21.00 — „მომბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.). 21.30 — „დეპუტატობის კანდიდატები" — ლამარა ჭყონია (ფ.), 22.00 — „ვრემია" — (მ.), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი „სიმღერა ეკრანზე". მხატვრული ფილმი.

რადიო

1 მარტი

პირველი პროგრამით

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.35 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — კონცერტი ფორტეპიანოზე და ორკესტრისთვის, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ბ. ბერეზინი — „ბალეტი ვიოლინოზე" ორ ფორტეპიანოსათვის, 13.40 — მეერის „ბიუმბ", 14.00 — [illegible] კონცერტი, 14.40 — „ბელადილი" — „ვეფხვა ხალიბაური" (გაგრძელება), 14.20 — ს. პროკოფიევი — მეექვსე სიმფონია, 15.00 — ეკრანის მელოდიები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — მოსწავლეთათვის — მივდივარ ოცდამეერთე საუკუნეში". 17.55 — მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ა. ნ. კოსიგინთან. კონცერტი. (ტრანსლაცია სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრიდან), 22.00 — „მუსიკალური თუბერვალი" მიმოხილვა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.45 — ა. პახმუტოვა — სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი

28 თებერვალი

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძალია; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მე, ცოლი და სიდედრი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო-საქინფორმი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქინფორმის ყოფილი დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით გიორგის ძე მაისურაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნახეთ, იქნებ მოიგეთ

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1979 წლის მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1979 წლის 25 თებერვალს ქ. გარდაბანში. ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის 90 ნივთმოგება და 159.910 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთების ფულადი ღირებულება
03216	465*)	200 მანეთი	—
03252	016*)	50 მანეთი	—
03254	186*)	მტვერსასრუტი	45—00
03261	002*)	1000 მანეთი	—
03279	410*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ	225—00
03282	392*)	25 მანეთი	—
03292	253*)	30 მანეთი	—
03297	003*)	100 მანეთი	—
03324	181*)	30 მაშეთი	—
03328	168*)	30 მანეთი	—
03349	430*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა — 3"	203—00
03351	039*)	20 მანეთი	—
03353	448*)	100 მანეთი	—
03355	477*)	25 მანეთი	—
03359	446*)	30 მანეთი	—
03383	001*)	20 მანეთი	—
03385	276*)	100 მანეთი	—
03394	004*)	20 მანეთი	—
03397	485*)	20 მაშეთი	—
03398	325*)	50 მანეთი	—
03404	467*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ	225—00
03433	064*)	მაცივარი „ზილი"	370—00
03434	197*)	350 მანეთი	—
03440	385*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ	225—00
03441	046*)	50 მანეთი	—
03442	187*)	20 მანეთი	—
03443	080*)	მტვერსასრუტი	45—00
03452	262*)	25 მანეთი	—
03453	317*)	ელექტროსამოვარი	21—00
03460	113*)	25 მანეთი	—
03473	197*)	1000 მანეთი	—
03486	097*)	30 მანეთი	—
03487	111*)	30 მანეთი	—
03496	159*)	100 მანეთი	—
03513	402*)	200 მაშეთი	—
03533	180*)	50 მანეთი	—
03534	020*)	20 მანეთი	—
03555	242*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ	225—00
03558	057*)	30 მანეთი	—
03559	202*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა — 3"	203—00
03563	449*)	25 მანეთი	—
03564	353*)	300 მანეთი	—
03594	450*)	20 მანეთი	—
03597	054*)	20 მანეთი	—
03602	034*)	მაგნიტოფონი	220—00
03604	1-500	10 მანეთი	—
03616	367*)	25 მანეთი	—
03618	227*)	50 მანეთი	—
03631	012*)	30 მანეთი	—
03647	318*)	ელექტროსამოვარი	21—00
03663	441*)	300 მანეთი	—
03673	197*)	100 მანეთი	—
03695	187*)	მაცივარი „ზილი"	370—00
03698	446*)	350 მანეთი	—
03700	228*)	50 მანეთი	—
03704	273*)	20 მაშეთი	—
03709	467*)	25 მანეთი	—
03720	320*)	25 მანეთი	—
03723	273*)	25 მანეთი	—
03728	157*)	100 მანეთი	—
03738	102*)	25 მანეთი	—
03747	347*)	20 მანეთი	—
03748	379*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	535—00
03758	204*)	მაგნიტოფონი	220—00
03761	204*)	50 მანეთი	—
03767	021*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
03770	405*)	20 მაშეთი	—
03779	050*)	30 მანეთი	—
03791	099*)	მაგნიტოფონი	220—00
03814	328*)	25 მანეთი	—
03815	082*)	20 მანეთი	—
03823	181*)	20 მანეთი	—
03838	090*)	30 მანეთი	—
03844	437*)	30 მანეთი	—
03854	023*)	50 მანეთი	—
03867	312*)	200 მანეთი	—
03875	1.500	15 მაშეთი	—
03887	027*)	20 მანეთი	—
03889	149*)	ავტომანქანა „ჟიგული—2101"	5500—00
03916	074*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული გარნიტური	1200—00
03926	164*)	300 მანეთი	—
03933	372*)	25 მანეთი	—
03941	298*)	25 მანეთი	—
03944	144*)	მაცივარი „ზილი"	370—00
03951	162*)	1000 მაშეთი	—
03953	321*)	50 მანეთი	—
03961	293*)	200 მანეთი	—
03964	018*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
03965	019*)	100 მანეთი	—
03969	015*)	100 მანეთი	—
03973	030*)	მაცივარი „ზილი"	370—00
03974	396*)	200 მანეთი	—
03994	069*)	20 მანეთი	—
04009	205*)	30 მანეთი	—
04026	022*)	50 მანეთი	—
04031	272*)	50 მანეთი	—
04058	407*)	20 მაშეთი	—
04085	002*)	მტვერსასრუტი	45—00
04094	152*)	მტვერსასრუტი	45—00
04095	084*)	50 მანეთი	—
04109	469*)	20 მანეთი	—
04111	077*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04113	271*)	25 მანეთი	—
04114	185*)	1000 მანეთი	—
04123	111*)	მაცივარი „ზილი"	370—00
04131	034*)	200 მანეთი	—
04143	134*)	200 მანეთი	—
04156	466*)	30 მანეთი	—
04171	091*)	25 მანეთი	—
04197	294*)	25 მანეთი	—
04217	158*)	100 მაშეთი	—
04227	492*)	25 მანეთი	—
04241	082*)	100 მანეთი	—
04243	037*)	მტვერსასრუტი	45—00
04244	203*)	100 მანეთი	—
04253	298*)	200 მანეთი	—
04286	339*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
04297	001*)	50 მანეთი	—
04308	271*)	ელექტროსამოვარი	21—00
04321	092*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04332	241*)	30 მანეთი	—
04338	067*)	200 მანეთი	—
04340	284*)	25 მანეთი	—
04344	484*)	მაგნიტოფონი	220—00
04348	218*)	50 მანეთი	—
04364	224*)	კინოაპარატი „ლომო"—216"	70—00
04368	453*)	350 მანეთი	—
04384	295*)	200 მანეთი	—
04399	117*)	30 მანეთი	—
04400	068*)	30 მანეთი	—
04411	304*)	350 მანეთი	—
04424	369*)	ელექტროსამოვარი	21—00
04425	352*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა—3"	203—00
04431	402*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
04436	462*)	25 მანეთი	—
04446	365*)	50 მანეთი	—
04459	168*)	25 მანეთი	—
04464	450*)	მაგნიტოფონი	220—00
04466	112*)	30 მანეთი	—
04472	450*)	მაცივარი „ზილი"	370—00
04489	319*)	20 მანეთი	—
04498	405*)	100 მანეთი	—
04502	099*)	50 მანეთი	—
04507	174*)	100 მანეთი	—
04518	352*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04520	361*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა—3"	203—00
04527	188*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04536	208*)	მაგნიტოფონი	220—00
04537	402*)	ავტომანქანა „ჟიგული—21011"	6030—00
04541	296*)	მაცივარი „ზილი"	370—00
04555	383*)	20 მანეთი	—
04575	499*)	25 მანეთი	—
04577	403*)	100 მანეთი	—
04601	295*)	50 მანეთი	—
04604	450*)	25 მანეთი	—
04646	269*)	100 მანეთი	—
04664	139*)	30 მანეთი	—
04673	469*)	მტვერსასრუტი	45—00
04682	456*)	25 მანეთი	—
04688	175*)	25 მანეთი	—
04702	458*)	20 მანეთი	—
04711	088*)	50 მანეთი	—
04713	484*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	7900—00
04731	133*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04733	088*)	100 მანეთი	—
04742	086*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
04746	408*)	30 მანეთი	—
04754	487*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	535—00
04759	127*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
04761	277*)	100 მანეთი	—
04767	415*)	25 მანეთი	—
04774	178*)	მაცივარი „ზილი"	370—00
04776	222*)	300 მანეთი	—
04800	418*)	350 მანეთი	—
04810	266*)	50 მანეთი	—
04814	250*)	20 მანეთი	—
04815	275*)	50 მანეთი	—
04823	323*)	მაგნიტოფონი	220—00
04848	039*)	20 მანეთი	—
04867	211*)	25 მანეთი	—
04881	387*)	25 მანეთი	—
04889	009*)	25 მანეთი	—
04898	236*)	25 მანეთი	—
04908	346*)	20 მანეთი	—
04915	027*)	25 მანეთი	—
04923	127*)	30 მანეთი	—
04925	117*)	30 მანეთი	—
04928	136*)	ავტომანქანა „ვოლგა გაზ-24"	9043—00
04938	288*)	20 მანეთი	—
04943	496*)	25 მანეთი	—
04955	306*)	ელექტროსამოვარი	21—00
04967	497*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
04968	185*)	30 მანეთი	—
04982	200*)	300 მანეთი	—
04983	149*)	ელექტროსამოვარი	21—00
04995	433*)	მაცივარი „ზილი"	370—00
05016	421*)	მაცივარი „ზილი"	370—00
05018	354*)	50 მანეთი	—
05061	172*)	300 მანეთი	—
05070	455*)	25 მანეთი	—
05078	341*)	25 მანეთი	—
05102	035*)	50 მანეთი	—
05131	375*)	25 მანეთი	—
05140	135*)	50 მანეთი	—
05149	001*)	100 მანეთი	—
05188	399*)	25 მანეთი	—
05191	463*)	100 მანეთი	—
05194	441*)	25 მანეთი	—
05217	176*)	25 მანეთი	—
05219	147*)	30 მანეთი	—
05224	190*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული გარნიტური	1200—00
05234	494*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
05248	213*)	25 მანეთი	—
05251	200*)	100 მანეთი	—
05256	112*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
05258	028*)	25 მანეთი	—
05264	244*)	100 მანეთი	—
05304	376*)	25 მანეთი	—
05340	358*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
05353	187*)	მტვერსასრუტი	45—00
05358	452*)	30 მანეთი	—
05370	369*)	მაგნიტოფონი	220—00
05374	1-500	10 მანეთი	—
05378	233*)	30 მანეთი	—
05398	201*)	1000 მანეთი	—
05399	459*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
05400	232*)	30 მანეთი	—
05402	206*)	კინოაპარატი „ლომო—216"	70—00
05417	347*)	100 მანეთი	—
05431	148*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
05434	245*)	200 მანეთი	—
05473	032*)	მაცივარი „ზილი"	370—00
05477	052*)	25 მანეთი	—
05493	083*)	30 მანეთი	—
05509	439*)	30 მანეთი	—
05510	088*)	მაცივარი „ზილი"	370—00
05521	393*)	20 მანეთი	—
05537	066*)	1000 მანეთი	—
05548	121*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	7900—00
05550	456*)	100 მანეთი	—
05552	087*)	100 მანეთი	—
05553	045*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
05577	008*)	100 მანეთი	—
05607	095*)	მაცივარი „ზილი"	370—00
05613	391*)	350 მანეთი	—
05619	481*)	100 მანეთი	—
05632	388*)	მტვერსასრუტი	45—00
05653	199*)	50 მანეთი	—
05666	207*)	ელექტროსამოვარი	21—00
05668	279*)	ელექტროსამოვარი	21—00
05674	209*)	მაგნიტოფონი	220—00
05679	496*)	200 მანეთი	—
05704	290*)	50 მანეთი	—
05710	357*)	30 მანეთი	—
05723	490*)	25 მანეთი	—
05730	081*)	25 მანეთი	—
05751	1-500	15 მანეთი	—
05754	260*)	20 მანეთი	—
05757	151*)	ელექტროსამოვარი	21—00
05775	125*)	20 მანეთი	—
05777	431*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
05790	048*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	5500—00
05800	064*)	300 მანეთი	—
05812	396*)	100 მანეთი	—
05814	059*)	20 მანეთი	—
05837	322*)	25 მანეთი	—
05840	109*)	200 მანეთი	—
05872	456*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	7900—00
05917	185*)	25 მანეთი	—
05921	187*)	1000 მანეთი	—
05922	250*)	200 მანეთი	—
05924	426*)	25 მანეთი	—
05944	484*)	30 მანეთი	—
05962	318*)	30 მანეთი	—
05963	459*)	ელექტროსამოვარი	21—00
05964	433*)	ელექტროსამოვარი	21—00
05970	315*)	30 მანეთი	—
05984	403*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	6030—00
05986	321*)	25 მანეთი	—
05994	113*)	მაგნიტოფონი	220—00
05995	280*)	20 მანეთი	—
05996	229*)	30 მანეთი	—
05997	302*)	30 მანეთი	—
06011	457*)	50 მანეთი	—
06026	139*)	25 მანეთი	—
06032	039*)	მტვერსასრუტი	45—00
06033	480*)	100 მანეთი	—
06050	298*)	1000 მანეთი	—
06058	168*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3"	203—00
06060	490*)	ელექტროსამოვარი	21—00
06068	187*)	მტვერსასრუტი	45—00
06074	450*)	450 მანეთი	—
06078	106*)	25 მანეთი	—
06080	457*)	300 მანეთი	—
06084	110*)	50 მანეთი	—
06096	279*)	25 მანეთი	—
06110	063*)	50 მანეთი	—
06111	094*)	1000 მანეთი	—
06136	313*)	25 მანეთი	—
06140	105*)	25 მანეთი	—
06159	150*)	450 მანეთი	—
06160	112*)	100 მანეთი	—
06175	180*)	30 მანეთი	—
06176	018*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	7900—00
06194	243*)	30 მანეთი	—
06200	128*)	მაცივარი „ზილი"	370—00
06201	417*)	50 მანეთი	—
06203	407*)	50 მანეთი	—
06215	007*)	25 მანეთი	—
06221	451*)	20 მანეთი	—
06229	318*)	25 მანეთი	—
06235	037*)	25 მანეთი	—
06236	261*)	ელექტროსამოვარი	21—00
06241	314*)	100 მანეთი	—
06313	089*)	30 მანეთი	—
06314	347*)	100 მანეთი	—
06346	410*)	30 მანეთი	—
06353	488*)	100 მანეთი	—
06367	212*)	25 მანეთი	—
06382	024*)	20 მანეთი	—

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი" — აღნიშნულია 1-500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულებას მოგებული ნივთის ნაცვლად, აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს ყველა შემნახველი სალარო, 100 მანეთზე მეტ მოგებათა თანხებს გაცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოება მხოლოდ ქ. თბილისში, მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. იმ შემთხვევაში, თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად. 1980 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარი